585
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 8

1989

# უმაღლესი საბჭოს უწყებანი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უწყებანი

№ 8 (589) აგვისტო 1989 წელი

19222

## შინაარსი

განყოფილება პირველი

155. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სახალხო დეპუტატთა საბჭოების მორიგი სესიების ჩატარების შესახებ.

156. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ს. თელია-შვილის ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ.

157. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

158. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელმწიფო ჯილდოების კომისიის შექმნის შესახებ.

159. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ.

160. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

161. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ.

162. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისისა და ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## განყოფილება მეორე

163. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

164. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

165. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. მ. სეფიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

166. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

167. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ჯ. ი. დუნდუასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

168. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. შ. კილოსანიძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

169. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ლ. მურვანიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

170. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ვ. შალიკაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

171 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

172. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ი. ტ. კვიციანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

## განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# განყოფილება პირველი

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

### 155 სახალხო დეპუტატთა საბჭოების მორიგი სესიების ჩატარების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 1 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი რეკომენდაციას აძლევს რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს 1989 წლის აგვისტო-სექტემბერში გამართონ მორიგი სესიები, რომლებზეც მოისმენენ თავიანთი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების ანგარიშებს. სესიებზე მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმონ ადგილებზე შექმნილ კონკრეტულ სიტუაციას, განსაკუთრებით დასახული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამების შესრულებას, შესაბამისი საბჭოების საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და სამსახურების სტრუქტურისა და საქმიანობის გარდაქმნას. სესიების მომზადებაში აქტიურად ჩააბან შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი მოძრაობანი; გამართონ მოქალაქეთა შეკრებები, დღენიადაგ განამტკიცონ საბჭოების კავშირი და თანამოქმედება მშრომელებთან, ერთობლივად ეძიონ მომწიფებული საკითხების გადაჭრის გზები. ფართოდ გააცნონ მოსახლეობას სახელმწიფო ხელისუფლების საბჭოთა წარმომადგენლობითი ორგანოების პრაქტიკული მუშაობა.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა აღნიშნული სესიების ჩატარების ვადების შესახებ აცნობონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1989 წლის 15 აგვისტომდე.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 3 აგვისტო.
№ 2271—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 156 ამხ. ა. ხ. თელიაშვილის ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ არჩევის შესახებ

სსრ კავშირის კონსტიტუციის 152-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა № 8

არჩეულ იქნეს ამხ. ავთანდილ სიმონის ძე თელიაშვილი ახალციხის რაიონის სახალხო სასამართლოს სახალხო მოსამართლედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 3 აგვისტო.
№ 2273—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 157 საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

„სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონსა და სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 8 აპრილის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის 1989 წლის 31 ივლისის კანონის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 71-ე მუხლში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10, № 17, მუხ. 268; 1984 წ., № 3, მუხ. 65; 1989 წ., № 5, მუხ. 68) და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 71. მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების ძალმომრეობით დამხობისა თუ შეცვლისათვის

საჯარო მოწოდება სსრ კავშირის კონსტიტუციით განმტკიცებული საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების ძალმომრეობით დამხობისა თუ მისი შეცვლისათვის, აგრეთვე ამ მიზნით ასეთივე შინაარსის მასალების გავრცელება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი უცხოეთის ორგანიზაციებისა ან მათი წარმომადგენლების დავალებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **Ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 15 აგვისტო.
№ 2281—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 158 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელმწიფო ჯილდოების კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სსრ სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების არსებული წესის სრულყოფის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 23 დეკემბრის დადგენილების შესაბამისად შეიქმნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელმწიფო ჯილდოების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კარლო კონსტანტინეს ძე **გარდაფხაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პენსიონერი.

ვალერიან იოსების ძე **მეტრეველი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

ემილ ალექსის ძე **სეხნიაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აკადემიკოსი.

სულხან თევდორეს ძე **ცინცაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომპოზიტორი.

გიორგი შალვას ძე **ციციშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი.

იოსებ გრიგოლის ძე **ხაზარაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე.

დარეჯან ილიას ასული **ხუტაშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თბილისის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ელვას" მმართავ-გამომთვლელი მანქანების ქარხნის ელექტრომემონტაჟე, სტუდენტი.

ეროვნული 8 ბიბლიოთეკა

2. კომისიის სხდომისათვის მასალების მომზადებას და მის მომსახურებას ახორციელებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დაჯილდოების განყოფილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 15 აგვისტო.

№ 2282—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 159 დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ

„დამნაშავეობასთან ბრძოლის მკვეთრი გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 6 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. შეიქმნას დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითი რესპუბლიკური კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ოთარ ევტიხის ძე **ჩერქეზია** — კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

**კომიტეტის წევრები:**

ვარცენტი რომანოზის ძე **აბზიანიძე** — ქუთაისის სახლთსაშენებელი კომბინატის მემონტაჟეთა ბრიგადის ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ხუტა მიხეილის ძე **ბერულავა** — პოეტი, საქართველოს ბავშვთა ფონდის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი.

ანზორ ალექსანდრეს ძე **გაბიანი** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის რეგიონალური კრიმინოლოგიური პრობლემების ლაბორატორიის (კავკასიის) განყოფილების უფროსი.

ია ბორისის ძე **გამრეკელი** — საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე.

გივი სერგოს ძე **გაჩეჩილაძე** — თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ხარატი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ვიქტორ დავითის ძე **გოგუაძე** — თბილისის ქარხანა ცენტროლიტის პარტიული კომიტეტის მდივანი.

შოთა ვარლამის ძე **გორგოძე** — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

აკაკი გრიგოლის ძე **კარანაძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

მოხ 159
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი შალვას ძე **კვანტალიანი** — სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის უფროსის მოადგილე.

ზურაბ გიორგის ძე **ლომიძე** — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ტარიელ ვლადიმერის ძე **ლორთქიფანიძე** — საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე.

ნარგიზა ანდროს ასული **მემანიშვილი** — თეთრწყაროს რაიონის სოფ. სიქთარვის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ვახტანგ აპოლონის ძე **რაზმაძე** — საქართველოს სსრ პროკურორი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ნუგზარ რაჟდენის ძე **საჯაია** — საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი ტერენტის ძე **ტყეშელიაძე** — თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი.

ვიქტორ აბიბოს ძე **შარაშენიძე** — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პეტრე პეტრეს ძე **ჩხეიძე** — პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

გიორგი ილიას ძე **ჭანტურია** — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

2. ანალოგიური დროებითი კომიტეტები შეიქმნას აფხაზეთის ასს, აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქალაქებში — თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, ქუთაისსა და რუსთავში.

3. დამნაშავეობასთან ბრძოლის დროებითმა რესპუბლიკურმა კომიტეტმა თავის საქმიანობას საფუძვლად დაუდოს სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნები, უზრუნველყოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონების უმკაცრესი დაცვა და დაეყრდნოს რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერას.

4. რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო ორგანო, საწარმო, დაწესებულება, საზოგადოებრივი ორგანიზაცია მოვალენი არიან ყოველნაირად დაეხმარონ დროებით კომიტეტს მუშაობაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ო. ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲘᲐ.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი Ვ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ.

თბილისი, 1989 წლის 21 აგვისტო.
№ 2285—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა № 8

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 160 საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ამხ. არჩილ გრიგოლის ძე **გოგელია** — საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის წევრად.

ამხ. არმაზ რომანოზის ძე **სანებლიძე** გამოყვანილ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის შემადგენლობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 21 აგვისტო.
№ 2286—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 161 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეთორმეტე სესია 1989 წლის 30 სექტემბერს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ო. ჩერქეზია.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 30 აგვისტო.
№ 2297—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 162 თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისისა და ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქებში საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კანონის 55-ე მუხლის შესაბამისად დაინიშნოს საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების ხელახალი არჩევნები თბილისის პირველი მაისის რაიონის № 24 ვახუშტი ბაგრატიონის, ბოლნისის რაიონის № 164 ქვემო ბოლნისისა და ყვარლის რაიონის № 219 ყვარლის საარჩევნო ოლქებში კვირას, 1989 წლის 1 ოქტომბერს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 31 აგვისტო.
№ 2298—XI

## განყოფილება მეორე

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 163 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

შავი მეტალურგიის განსავითარებლად გაწეული ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

**„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“:**

ლავრენტი ალექსანდრეს ძე **ბოჩიკაშვილს** — მთავარი მექანიკოსის მოადგილეს.

რუსლან ამბროსის ძე **გავაშელს** — დირექტორის მოადგილეს საფინანსო-კომერციულ დარგში.

ზურაბ ტერენტის ძე **გვიტიძეს** — საურნალო საამქროს უფროსს.

ელდარ კალენიკეს ძე **ედიბერიძეს** — საგლინავი საამქროს ცეცხლმჭრელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილ დავითის ძე **იშხნელს** — მარტენის საამქროს უფროსის თანაშემწეს.

ივანე სულიკოს ძე **კოკოლაშვილს** — კოქსოქიმიური საამქროს ბრიგადირს.

ანატოლ ივანეს ძე **მამულაშვილს** — მთავარი ინჟინრის მოადგილეს.

მერაბ ნიკოლოზის ძე **პაპალაშვილს** — მილსაგლინავი საამქროს მვალცავს.

გიორგი ალექსანდრეს ძე **ტოკლიკიშვილს** — ქარხნის დირექტორის მოადგილეს ტრანსპორტის დარგში.

ემელიანე თეიმურაზის ძე **სილოგავას** — მარტენის საამქროს ფოლადჩასასხმელი არხის მომმზადებელს.

დიმიტრი ალექსანდრეს ძე **ჯაფარიძეს** — აგლოფაბრიკის უფროსს.

**„საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტი“**

ნუნუ ფორეს ასულ **კიკილაშვილს** — შრომის ორგანიზაციის განყოფილების სექტორის უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **Ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **Ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 9 აგვისტო.

№ 2279—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 164 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წარმატებებში წვლილისათვის **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით** დაჯილდოვდნენ ქარხნის მუშაკები:

ვაჟა ვარლამის ძე **ბარაბაძე** — დირექტორის მოადგილე კაპიტალური მშენებლობის დარგში.

დავით ილიას ძე **გარმიზა** — კოქსოქიმიური საამქროს უფროსი.

მიხეილ არონის ძე **ენუქაშვილი** — დირექტორის მოადგილე ხარისხის დარგში.

ნიკოლოზ ვასილის ძე **კოკაია** — თბილელექტროცენტრალის სატურბინო საამქროს ზეინკალი.

იური ანატოლის ძე **კაშირსკი** — საპროექტო-საკონსტრუქტორო განყოფილების უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იური ვახტანგის ძე **ლომთათიძე** — ცენტრალური ლაბორატორიის უფროსი.

თამაზ ბაგრატის ძე **პარფიონოვი** — მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილე.

შალვა ვასილის ძე **პოპიაშვილი** — ცენტრალური ლაბორატორიის უფროსის მოადგილე.

მევლუდ ვასილის ძე **სომხიშვილი** — მარტენის საამქროს მეფოლადე.

ვახტანგ გრიგოლის ძე **ქორიძე** — სარემონტო-მექანიკური საამქროს ხარატი.

თეიმურაზ უშანგის ძე **ქვრივიშვილი** — რკინიგზის საამქროს ლოკომოტივის მემანქანე.

თენგიზ სადიკოს ძე **ქოთოლაშვილი** — მილსაგლინავი საამქროს ბრიგადირი.

ალექსანდრე კონსტანტინეს ძე **ყაზარაშვილი** — სააირე საამქროს უფროსი.

არჩილ კონსტანტინეს ძე **ჭიჭინაძე** — მილსაგლინავი საამქროს ლითონის გამხურებელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **Ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 9 აგვისტო.
№ 2280—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 165 ამხ. ჯ. მ. სეფიაშვილისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული მუსიკალური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილისათვის კომპოზიტორ ჯემალ მიხეილის ძე **სეფიაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის"** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **Ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 18 აგვისტო.
№ 2284—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა № 8

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 166 „საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საესტრადო ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილისათვის მიენიჭოთ **„საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის“** საპატიო წოდება საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობებს:

ჯულიეტა სერგოს ასულ **სეფაშვილ-მურადელს** — მომღერალს.

სერგო სერგოს ძე **ლოლობერიძე-ნონიაშვილს** — მომღერალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 აგვისტო.

№ 2288—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 167 ამხ. ჯ. ი. დუნდუასათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული ეროვნული ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციაში წვლილისათვის ოზურგეთის ი. სუხიშვილის სახელობის ბავშვთა ქორეოგრაფიული სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელსა და დირექტორს ამხ. ჯუმბერ ილიას ძე **დუნდუას** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 აგვისტო.

№ 2289—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 168 ამხ. მ. შ. კილოსანიძისათვის „საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა მუსიკის პოპულარიზაციაში წვლილისათვის გრამფირფიტების სრულიად საკავშირო ფირმა „მელოდიის“ თბილისის გრამჩამწერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდიის ხმის რეჟისორს ამხ. მიხეილ შალვას ძე კილოსანიძეს მიენიჭოს **„საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 აგვისტო.
№ 2291—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 169 ამხ. თ. დ. მურვანიძისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის მხატვარ-დეკორატორს თეიმურაზ დავითის ძე **მურვანიძეს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 აგვისტო.
№ 2290—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 170 ამხ. ა. ვ. შალიკაშვილისათვის „საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის საქართველოს პანტომიმის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელსა და არტისტს ამირან ვალერიანის ძე **შალიკაშვილს** მიენიჭოს **„საქართველოს სსრ სახალხო არტისტის“** საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ო. ჩერქეზია.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. კვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 25 აგვისტო.
№ 2292—XI

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 171 „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის" საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის **„საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის"** საპატიო წოდება მიენიჭოთ:

ინა აკაკის ასულ **დოლიძეს** — უფროს რეფერენტს.

მანანა გივის ასულ **კანდელაკს** — უფროს რეფერენტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 28 აგვისტო.

№ 2293—XI

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

### 172 ამხ. ი. ტ. კვიციანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და პროფკავშირულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ამხ. იური ტარიელის ძე კვიციანია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 31 აგვისტო.

№ 2299—XI

## განყოფილება მესამე

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

3 აგვისტოს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. მოსმენილ იქნა ინფორმაციები საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის, საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა არჩევნების შესახებ საქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თველოს სსრ კანონისა და საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების სახალხო დეპუტატების არჩევნების შესახებ საქართველოს სსრ კანონის პროექტების მომზადებასთან დაკავშირებით შექმნილი საქართველოს სსრ მოქალაქეობის სტატუსის შემოღების წინადადებათა შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის ამხ. ს. ჯორბენაძის და საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სსრ კავშირის კანონების მოქმედების პირობების შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის წევრის დეპუტატ ზ. კვაჭაძის ინფორმაციები გაწეული საქმიანობის თაობაზე, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულების დარღვევის პოლიტიკური და სამართლებრივი შეფასების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ა. ალექსიძისა და რესპუბლიკაში იმიგრაციული პროცესების შესწავლისა და ამ მხრივ დაშვებული ნაკლოვანებებისა და შეცდომების აღკვეთის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ჯ. ჩარკვიანის ინფორმაციები ჩატარებული მუშაობის შესახებ.

*

* *

მოისმინა რა სახალხო დეპუტატთა ყვარლის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ა. გავაშელიშვილის ინფორმაცია სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის მითითებათა შესაბამისად ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში მუდმივი კომისიების როლის ამაღლებისათვის ყვარლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობის შესახებ, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი გარკვეულ მუშაობას ეწევიან ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში მუდმივი კომისიების როლის შემდგომი ამაღლებისათვის; მუშაობის გარდაქმნის პროცესის თანამიმდევრულად და მიზანმიმართულად წარმართვის, საჯაროობის განვითარების მიზნით საჭირო ყურადღებას უთმობენ იმ კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებიდან, სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი სესიის მიერ მიღებული კანონებიდან და დადგენილებებიდან.

ამასთან ერთად ყვარლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ჯერ კიდევ საკმარისად არ იყენებენ მუდმივი კომისიების შესაძლებლობებს, სუსტად წარმართავენ მათს ძალისხმევას რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსურობის უზრუნველყოფის, საწარმოო დავალებათა შესრულების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის ამაღლების, მატერიალური და ფინანსური

ეროვნული ბიბლიოთეკა
№ 8

რესურსების მომჭირნედ ხარჯვის, საწარმოო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში დისციპლინის და წესრიგის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დაავალა ყვარლის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს, მუდმივ კომისიებს:

სრულად განახორციელონ კანონით მინიჭებული უფლებამოსილებანი და მხარი აუბან რაიონის სოციალურ სფეროში გარდაქმნის პროცესების დაჩქარებას, დემოკრატიულ განახლებას, ნამდვილ საჯაროობას, აზრთა ჭეშმარიტ პლურალიზმს და მოქმედების ერთიანობას, მუშაობაში ახალი სტილისა და მეთოდების დამკვიდრებას, მომწიფებული საკითხების ერთობლივი ძალით გადაწყვეტის პრაქტიკას;

გააძლიერონ მუშაობა დემოკრატიზაციის პროცესების გაღრმავების, ეკონომიკური რეფორმის დაჩქარებისათვის, არასასურველი ტენდენციების განვითარების შენელებისათვის, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად;

ხელი შეუწყონ არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრულ ათვისებას, შრომითი, მატერიალური, საფინანსო და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, გამოსაშვები პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, XII ხუთწლედის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის წარმატებით შესრულებას;

აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხუთწლიანი და წლიური გეგმების პროექტებში შესატანი ისეთი ღონისძიებების განხილვაში, რომლებიც დაკავშირებულია მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, შრომითი რესურსების გამოყენების, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, საყოფაცხოვრებო და სხვა სახის მომსახურების საკითხების შემდგომ სრულყოფასთან;

იღვაწონ ეკონომიკური მუშაობის დონის მუდმივი ამაღლების, შრომის პროგრესული ფორმებისა და სხვა ეკონომიკური ბერკეტების ფართოდ გამოყენების, სოფლების სოციალური გარდაქმნის საკითხებში საწარმო-ეკონომიკურ კომპლექსებთან სასოფლო საბჭოების ერთობლივი მოქმედების სრულყოფისათვის;

გააქტიურონ მუდმივი კომისიების საქმიანობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების ახლებურად, გარდაქმნის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავებისათვის, მათი რეალიზაციის მიმდინარეობისადმი კონტროლის განსახორციელებლად; უფრო სრულად გამოიყენონ შეკითხვის წესით საკითხის დაყენების უფლება, როგორც საწარმოების, ორგანიზაციებისა და სამსახურების საქმიანობისადმი სადეპუტატო კონტროლის ქმედითი ფორმა.

*

* *

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილულ იქნა სხვა საკითხებიც. ყველა მათგანზე მიღებულია შესაბამისი დადგენილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 9 აგვისტოს ბრძანებულებებით:

თეთრი წყაროს რაიონის კოდის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები ახალი მარაბდა და ძველი მარაბდა, ხოლო დურნუკის სასოფლო საბჭოს — სოფელი ქოთიში, და მათ ბაზაზე შეიქმნა მარაბდის სასოფლო საბჭო ცენტრით სოფელ ახალ მარაბდაში.

სტიქიური უბედურების შედეგად მესტიის რაიონიდან წინწყაროს საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე ჩამოსახლებულთათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დასახლება მიეკუთვნა სოფლების ჯგუფს, ეწოდა სოფელი ახალი ხაიში და შეიქმნა ახალი ხაიშის სასოფლო საბჭო.

ჩხიკვთის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი გოლთეთი და შეიქმნა გოლთეთის სასოფლო საბჭო.

*

*  *

ბოლნისის რაიონის აკაურთის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი ტანძია და შეიქმნა ტანძიის სასოფლო საბჭო.

*

*  *

ჩოხატაურის რაიონის ჩაისუბნის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფელი გუთური და შეიქმნა გუთურის სასოფლო საბჭო.

13.222

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბ. ბ...თეკა